

შედგენის თარიღი	დავთრები			
	ვრცელი / დიდი დავთრები	მოკლე (იჯმალ) დავთრები	ე.წ. „ცვლილებების“ (იოკლამა; რუზნამ- ჩე / რუზნამჯე) დავთრები	„მუსლიმ მამაკაცთა დავთარი“
≈1566 - 1574	„ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“ [2011]	„ზემო აჭარის ლივის მოკლე დავთარი“ [2011]		
1574	„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ [2016]			
1589-1590			„ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“ [2008]	
1595	„არტანუჯის ლივის ვრცელი დავთარი“			
1595	„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ [1941]			
1694-1731			„ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი“ [1979]	
1728	„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ [2009-2010]			
1835				„მაჭახლის ლივა (სადროოშო) გაერ- თიანებულია ჩილდირის ვილაიეთის მუსლიმ მამაკაცთა აღწერა“
1835 / 1836				„ჩილდირის ვილაიეთისადმი დაქვემდე- ბარებული სათლელის საწჯაყის მუს- ლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი“

## ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი

ამ სახელის მქონე დავთარი თურქეთის არქივებში ორია. ერთი ინახება ანკარის მიწისა და კადასტრის დეპარტამენტის არქივში (შიფრი 197), ხოლო მეორე – მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალურ არქივში (შიფრი 558). დავთარი ჩასმულია ყდაში, მისი სიგრძე 42 სმ.-ია, სიგანე – 13 სმ. შედგება შავი მელნით ნაწერი 18 გვერდისგან.

დავთარს თურქეთის არქივში მიაკვლიეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, რომლებმაც თარგმნეს და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნეს<sup>1</sup>. დავთარზე არაა მითითებული მისი შედგენის ზუსტი თარიღი, მაგრამ პირველ გვერდზე დასმული სულთან სელიმ II-ის (1566-1574) თუღრით (ბეჭდით) ვგებულობთ, რომ იგი მისი სულთნობის პერიოდშია შედგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ დავთრის სახელი მხოლოდ ზემო აჭარას ასახელებს, მასში ქვემო აჭარაც შედის. ამდენად, „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“ თითქმის მთლიანად მოიცავს მდ. აჭარისწყლის მთელს აუზს (შუა და ზემო წელს). როგორც ეტყობა, მართალია, დავთარი მთლიანად აჭარისთვისაა შედგენილი, მაგრამ მის სახელად ზემო აჭარის მოხსენიება, მაშინ ოსმალო მოხელეთათვის მხოლოდ ტექნიკური საკითხი უნდა ყოფილიყო. ამ დავთრიდან არ ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ლივის ცენტრი ზემო აჭარაში, ალბათ დღევანდელ სოფელ დიდაჭარაში, იქნებოდა და ამიტომაც მთელი ლივაც ასე უნდა სახელდებულიყო. სოფელი დიდაჭარა სტრატეგიულად ცენტრალურ ადგილს იკავებდა ზემო აჭარაში და სრულად დასამვებია, რომ ლივის ცენტრიც აქ ყოფილიყო

## აჭარის ლივის მოკლე დავთარი

აჭარის ლივის შესახებ დიდ (ვრცელ) დავთართან ერთად, მოგვეპოვება მოკლე, ანუ იჯმალ დავთარი. იგი თურქეთის არქივში მოიძიეს, ქართულად თარგმნეს და გამოსცეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძე<sup>2</sup>. იგი დაცულია ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. მისი შიფრია 272.

დოკუმენტი დაუთარირებელია, თუმცა მისი შექმნის დროის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სულთან მურად III-ის (1574 - 1595) ზეობის წლებით, ვინაიდან დავთარი მის პერიოდშია შექმნილი და მისი თუღრითა (ბეჭდით) დამოწმებული. სავარაუდოდ, დავთარი 1574-1575 წლებში უნდა იყოს შედგენილი<sup>3</sup>.

დავთარი 13 გვერდისაგან შედგება და მასში მოცემულია ინფორმაცია ზემო და ქვემო აჭარის ნაპიერის ბის შესახებ. ვრცელი დავთრისაგან განსხვავებით, მოკლე დავთარი არ ითვალისწინებს მეურნეობის ცალკეული დარგებისა და გადასახადების წყაროების დასახელებას, არც მცხოვრებთა კომლობრივ ჩამოთვლას. მოკლე დავთარში მოცემულია მხოლოდ ოსმალო მოხელეებისათვის ბოძებული მმწულები და მათგან მიღებული შემოსავლების ოდენობა. ოსმალეთის იმპერიაში მოხელეებისათვის საბოძვარი მამულები 3 კატეგორიისა იყო: ხასი, ზიამეთი და თიმარი. თითოეული მათგანის ბოძება მოხელის სტატუსზე იყო დამოკიდებული, რადგანაც ისინი სხვადასხვა ოდენობის შემოსავალს იძლეოდა.

<sup>1</sup> აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ. თბ., 2011.

<sup>2</sup> აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ. თბ., 2011.

<sup>3</sup> იხ. აქვთ „ზემო აჭარის ვრცელი დავთარი“.

## 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც დათარილებულია 1574 წლით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალური-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საკითხების გასაშუქრებლად. აღნიშნული დავთრის დედანი ინახება სტამბოლში მინისტრთა საბჭოს არქივში და მისი შიფრია 525. იგი შედგენილია ოსმალურ ენაზე და დანერილია არაბული შრიფტით, კერძოდ კი სიაკათის ურთულესი გრაფიკით. ხელნაწერის ზომა 41.5 X 29.5 სმ და შეიცავს 360 გვერდს. დავთრის გაფორმების თარიღია 1574 წლის 23 მარტი და უზის სულთან სელიმ II-ის (1566-1574 წნ.) თუღლა. წყარო ქართულად თარგმნა პროფესორმა ნოდარ შენგელიამ და გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. გამოცემის რედაქტორია პროფესორი მირიან მახარაძე.

აღნიშნული დავთარი ასახავს იმ ისტორიულ ვითარებას, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ შეიქმნა XVI საუკუნეში. სპარსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება კავკასიაში გაბატონებისათვის ოსმალეთის სასარგებლოდ წარიმართა. 1555 წელს მათ შორის დაიდო ე.წ. ამასის ზავი, რომლის ძალითაც სპარსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილზე. 1590 წელს მათ შორის ახალი ზავი დაიდო, რომელიც გაფორმდა ქ. სტამბოლში. ამ ზავის პირობებით მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალებს მიეკუთვნა, რომლებმაც არ დააყოვნეს და შეუდგნენ თავიანთი მმართველობის ფორმების დანერგვას. როგორც ცნობილია, ოსმალები დაპყრობილი ტერიტორიის ათვისებას მისი აღწერით იწყებდნენ და აღწერის მასალებს სპეციალურ დავთრებში ათავსებდნენ. წინამდებარე დავთარი ვრცელი დავთარია და მასში დეტალურადა აღწერილი იმჟამად ოსმალების ხელთ აღმოჩენილი ქართული ტერიტორიაზე დასახლებები, იქ მცხოვრები კომლები და მათზე გაწერილი გადასახადები. დავთარში კარგად ჩანს მოცემული მხარის სამეცნიერო-ეკონომიკური, აგრეთვე ოსმალების მიერ გატარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სურათი.

## „ჩილდირის ეაილეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“

ოსმალური დოკუმენტი „ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“ ქართულად თარგმნეს და გამოაქვეყნეს 2008 წელს პროფესორებმა ნოდარ შენგელიამ და მირიან მახარაძემ. დავთრის დედნის შიფრია 653 და შეადგენს 149 გვერდს. იგი ნანერია სიაკათის ხელით შავი მელნით.

მთარგმნელებმა გამოცემას წაუმდლვარეს შესავალი, სადაც ვრცლად მიმოიხილეს ძეგლი. მკვლევარები, პირველ რიგში, ჩერდებიან დავთრის შედგენის თარიღზე და მიიჩნევენ, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს 1589-1590 წნ. [„იჯმ. დავთ“, გვ. 5]. ამგვარი დათარილების არგუმენტად მოყვანილია დავთარში აღნიშნული ყველაზე ადრინდელი თარიღი, რომელიც არის ჰიჯრით 998 წ. ეს კი უდრის ჩ.წ. 1589-1590 წნ. დავთარი დამოწმებულია სულთან მურად მესამის თუღრით, რომელიც ოსმალეთის იმპერიას მართავდა 1574-1595 წლებში. ძეგლის მთარგმნელი და გამომცემელიც ა. აბულაძე ნერს: „ჯაბა დავთარში ფიქსირებულია ჩილდირის (ახალციხეს) ეიალეთის ფურდალური საკარგავები – ხასები, ზეამეთები, თიმარები – მათი ყუველწლიური შემოსალის ჩვენებით. მთელი მასალა დალაგებულია არა გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით, არამედ ქრონლოგიურად... ამიტომ მონაცემები ერთი ლივისა და ნაჰიეს შესახებ განეულია მთელს დავთარში“ [„ჯაბა დავთ.“, გვ. 70].

მართლაც, მასში თითოეული ცნობა დიდი და მოკლე დავთრებისაგან განსხვავებული პრინციპითა დალაგებული. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი პრინციპია დაცული – ქრონოლოგია: როგორც კი მოხდებოდა რამე ცვლილება ანუ რომელიმე პირს ამა თუ იმ მიზეზით გაუუქმდებოდა (გარდაცვალება, ხანდაზმულობა, ურჩობა...) რომელიმე მხარეში საკუთრების ფლობის უფლება და გადაცემოდა სხვას, იგი მაშინვე ჩაინტერებოდა დავთარში, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ჯაბა დავთრის ტიპისა იყო. ამიტომაც აქვერ იქნებოდა გეოგრაფიული პრინციპი დაცული და ვერც სხვა რამ ცნობებს შეიტანდნენ დავთარში, თუ კი ეს მომხდარ ცვლილებას არ ეხებოდა. ამ ვითარების გამო დავთარი კონკრეტულ დროში უნდა დაწყებულიყო და ასევე გარკვეულ დროს უნდა დასრულებულიყო. ჩვენი დავთარიც 1694 წელს იწყება და 1732 წ. მთავრდება, ანუ დავთარში ცნობები დალაგებულია აღმავალი ქრონოლოგით. 1696-1732 წლებში თუ რამ ცვლილება მომხდარა ლენის ბოძების თაობაზე ახალციხის საფაშოში აღრიცხულია მოცემულ დავთარში.

## 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“

დავთრის აღმოჩენა ერთ შემთხვევითობას უკავშირდება. 1925 წელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დარაჯმა, ახალციხის მკვიდრმა მ. ჩარუხევემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ სტუდენტს, შემდგომში ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო ბერძენიშვილს 15 მანეთად მიჰყიდა ძველთურქული ხელნაწერი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. აღნიშნული ხელნაწერი ამჟამად დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

დავთრის შედგენის თაობაზე განსხავებული მოსაზრებებია გამოთქმული. რუსმა მოხელეებმა მას უმართებლოდ უწოდეს „ჯაბა დავთარი“. ს. ჯიქიამ კი დაადგინა, რომ დავთრის თავფურცელზე გაკეთებული მინანერი თურქულია და იგი ასე ამოიკითხა: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ამგვარად დადგინდა, რომ აღნიშნული დავთარი და რუსი მოხელეების მიერ შერქმეული „ჯაბა“ ერთი და იგივე დოკუმენტია [აბულაძე, 1999, გვ. 64-65].

ს. ჯიქიამ დაასაბუთა, რომ „ჯაბა დავთარი“ შედგენილია 1595 წელს. როგორც ც. აბულაძე აღნიშნავს, რუსმა მოხელეებმა დავთრის დაზიანებული თავფურცლიდან შეცდომით ამოიკითხეს 1587 წელი. ამავე წელს მიიჩნევს მართებულად გ. ტივაძე [1946]. თუმცა ც. აბულაძე უარყოფს ამ მოსაზრებას, რის დასტურად მას მოჰყავს დავთრის ნინ ნამდლვარებული კანუნ-ნამეზე მითითებული „1595 წელი“, ე.ი. თვით დავთარიც ამავე წელს უნდა იყოს შედგენილი. მეორე არგუმენტად კი ც. აბულაძეს მოჰყავს მეპმედ (მაპმუდ) III-ის თულრა (ბეჭედი), რომელიც დასმული აქვს დავთარს. მეპმედ III კი მეფობდა 1595-1603 წლებში [აბულაძე, 1999, გვ. 66].

დავთარი 3 მთავარი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნია“ (კანონთა ნამე). იგი 21 თავისაგან შედგება და „შეიცავს კანონებს მიწათმიფლობელობის, მიწათსარგებლობისა და სხვადასხვა გადასახადისა და სოციალურ ფენათა ურთერთ დამოკიდებულების შესახებ. აქვე მოცემულია სისხლის სამართლის კანონები და წესები აღებ-მიცემობის შესახებ“ [ჯიქია, 1941, გვ. VIII]. მეორე ნაწილი დასახლებული (სოფელი) და დაუსახლებელი (ნასოფლარი) პუნქტების სიაა, რომელზეც განერილია გადასახადების ჯამები (ახწობით). პირობითად, მას დავთრის „სარჩევი“ ვუწოდეთ. დოკუმენტის მესამე, ძირითადი ნაწილი ყველაზე ვრცელია (პირობითად, დავთრის ძირითადი ნაწილი), სადაც მოცემულია ზოგიერთი დემოგრაფული ცნობა და გადასახადთა ტიპები (ახწობით) დასახლებული და დაუსახლებელი პუნქტების შესაბამისად.

**იჯმალ დავთარი || მოკლე დავთარი** – ოსმალეთის საფინანსო უწყების სააღწერო დავთრის ტიპი, სადაც შემოკლებულად იყო გადმოცემული დიდი (მუსაფალ) დავთრის სოციალურ-ეკონომიკური ცნობები ამა თუ იმ აღმინისტრაციული ერთეულისა და დასახლებული პუნქტის შესახებ. თვით სიტყვა „იჯმალი“ ნიშნავს რეზიუმეს, ჯამს, აღწერას, სიას, დოკუმენტს. დავთრის უმთავრესი მიზანი იყო მოღაშქრეთა სიკბისა და გადასახადთა საერთო რაოდენობის ასახვა. დიდი დავთრისაგან განსხვავებით, მას არ ერთვოდა კანუნ-ნამე (კანონთა წიგნი).

## თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი (1728 წ.)

ვახტანგ VI ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეა საქართველოს ისტორიაში. მისმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწობამ თუ დიდ წარმატებას მიაღწია, სანაცვლოდ პოლიტიკურმა საქმიანობამ კრახი განიცადა. მას მერე რაც ს.-ს. ორბელიანის ელჩობა ევროპაში (1713-1716 წწ.) უშედეგოდ დასრულდა, ვახტანგი დაემორჩილა ირანის შაჰს, ფორმალურად აღიარა მაჰმადიანობა და ქართლის გამგებლიბაც მიიღო. იგი ენერგიულად შეუდგა ქვეყნის მართვას და ამ დროს ასპარეზზე რუსეთის იმპერატორი პეტრე I გამოჩნდა.

დავთარში აღწერილია მთელი მაშინდელი ქართლი, რომელიც ოსმალური ადმინისტრაციული სტრუქტურითაა დაყოფილი. ეტყობა, რადგან ისმალური ტერმინი „გურჯისტანი“ მთელ საქართველოს აღნიშნავდა, ქართლი, რომლის ცენტრი თბილისი იყო, ამ უკანასკნელის მიხედვით აღნიშნეს და თბილისის ვილაიეთი უწოდეს. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოსმალებს უკვე დიდი ხნით აღრე ჰქონდათ დაპყრობილი საქართველოს გარკვეული ნაწილი და მას უწოდებდნენ „გურჯისტანის ვილაიეთს“. მთელ ქართლს ახლა მას ვერ მიამატებდნენ. მაშინ ვილაიეთი არ გამოვიდოდა, არამედ უფრო დიდი და ვრცელი პროვინცია. ვილაიეთზე უფრო მაღალი ადმინისტრაციული ერთეული იმპერიაში კი არ არსებობდა. მათ კი კონკრეტული მიზანი ჰქონდათ – ყველაფრის ისმალურ ყაიდაზე გარდაქმნა და ამისთვის ახალი ადმინისტრაციული ერთეული უნდა შეექმნათ. ამიტომაც, ქართლის აღმიშვნელად „გურჯისტანს“ ვერ გამოიყენებდნენ და იგი მისა დედაქალაქის მიხედვით მონათლეს.

## ჩრდილის ვილაიეთის მაჭახლის ლივისა (1835 წ.) და სათლელის ლივის (1835-1836 წწ.) მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთრები

ოსმალეთის სულთანი მაჰმედ II-ის (1808-1839 წწ.) მმართველობის პერიოდში დაიწყო მასშტაბური რეფორმები, რომლის მთავარი მიზანი იყო იმპერიის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის გაძლიერება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა უკავშირდებოდა სამხედრო-ლენური სისტემის ლიკვიდაციასა და ადმინისტრაციული მოწყობის რეორგანიზაციას. შედეგად წარმოიქმნა მსხვილი მინათმფლობელები, რომლებიც ფაქტობრივად მიწის მესაკუთრები გახდნენ, განსხვავებით ადრეული საუკუნეებისა, როცა მიწა ეკუთვნოდა სულთანს. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წლების ომსაც, რომელიც ადრიანოპოლის ზავით დასრულდა (20.09.1829, ქ. ადრიანოპოლი, ამჟ. ედირნე, თურქეთი). ზავის შედეგად რუსეთის შემადგენლობაში დარჩა ახალციხე და ახალქალაქი (მათგან ისმალეთი დაშორებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2 საათის სავალისა), ხოლო ისმალეთის შემადგენლობაში – ყარსისა და ტრაპიზონის საფაშობი, ახალციხის საფაშოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი.

როგორც ზ. შაშიკაძე გვამცნობს, ისმალეთის იმპერიაში მოსახლეობის აღწერები ჩატარდა 1831-47 წლების განმავლობაში. აღნიშნული აღწერები ეხებოდა მხოლოდ მამაკაცებს (ასაკისდა მიუხედავად). როგორც თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მუსლიმი მამაკაცების რაოდენობის დადგენა მიზნად ისახვდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გამოვლენას, ხოლო არამუსლიმი მოსახლეობის შესწავლა აუცილებელი იყო ჯიზიეს გადასახადის განსაზღვრაზე, ანუ იმ გადასახადზე, რომელსაც დაპყრობილ ტერიტორიებზე იხდიდნენ ის ქრისტიანები, რომლებმაც არ მიიღეს ისლამი. ამასთან აღნიშნულ პერიოდში ისმალეთის ჯარში ჯერ კიდევ არ იწვევდნენ არამუსლიმანებს.

ქართული პროვინციების აღწერა ჩატარდა 1835-36 წლებში. იგი არ არის ქართულად თარგმნილი. მოკლე ცნობები დავთრიდან მოგვაწოდა აღმოსავლეთმცოდნე ზაზა შაშიკაძემ. ეს ცნობებია: სოფლის სახელწოდება ქართულად, მათი შესატყვისი თანამედროვე სახელები, კომლთა და მამაკაცთა რაოდენობა. არსებული ცნობები არ იძლევა დავთრის დეტალური ანალიზის შესაძლებლობას. ამასთან შავშეთის რუკის შესადგენად გამოიყენებულია შემდეგი წყარო: „შავშეთი“. თბ.: გამომცემლობა: „ჰოროსი XXI“, 2011.